
აკურთხე, სულო ჩემო, უფალი

აკურთხე, სულო ჩემო, უფალი! უფალო, ღმერთო ჩემო,
დიდი ხარ ფრიად -- ფსალმუნი 103:1



სიტყვები: Psalm 103
მუსიკა: ———

PSALM 103
.....

2. გაგიფენია ცა კარავივით
წყლებზე ააგე ზესართულები.
ნათელი გმოსავს სამოსელივით,
ეტლად დაჰქრიან თეთრი ღრუბლები.

3. აკურთხე, სულო ჩემო, უფალი!
ის ჩემს გულშია, ჩემად ვიწამე.
მე მახსოვს მისი აღთქმული სიტყვა.
არ შეირყევა უკუნისამდე.

4. ვადიდებ უფალს და ვუგალობებ,
ვეამბორები ჩემი ფიქრებით.
აკურთხე, სულო! ვიხარებ მასში
სანამ ვარსებობ, სანამ ვიქნები.